საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ
და საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარდგენის მიზნით გეგზავნებათ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.
2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა;
3. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 3 მაისის №41 სხდომის ოქმის ამონაწერი.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

№ 09-01-08/61
03-05-2018
7

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში განხილულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე განხილვა მოხდეს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2018 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35[13] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 აპრილისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავის მხრივ უზრუნველყოფს ანგარიშის საჯარო განხილვას.

მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე კანონში გაკეთებული ჩანაწერი უმაღლესი საბჭოს 2017 წლამდე პრაქტიკის გათვალისწინებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ კომისიებში განხილვით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სტატუსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა მოხდეს არა მხოლოდ კომისიებში, არამედ – უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

ვინაიდან უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ იძლევა იმ პროცედურების დეტალურ გაწერას თუ როგორ უნდა მოხდეს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე/სესიაზე განხილვა, მიზანშეწონილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, 2017 წლის ანალოგიურად უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მოხდეს ზემოაღნიშნული პროცედურების განსაზღვრა.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2018 წლის 10 აპრილის №10 გადაწყვეტილებით განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს კომისიების მიერ განხილვის შემდეგ, განხილულ უნდა იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

პროექტის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე განხილვა მოხდება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 3 მაისის ხდომაზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2018 წლის 1 მაისის №36 გადაწყვეტილების შესაბამისად, განხილულ იქნა საკითხი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[13] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 აპრილისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავის მხრივ უზრუნველყოფს ანგარიშის საჯარო განხილვას.

მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე კანონში გაკეთებული ჩანაწერი უმაღლესი საბჭოს 2017 წლამდე პრაქტიკის გათვალისწინებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ კომისიებში განხილვით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სტატუსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა მოხდეს არა მხოლოდ კომისიებში, არამედ – უმაღლესი საბჭოს სხდომაზე.

ვინაიდან უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ იძლევა იმ პროცედურების დეტალურ გაწერას თუ როგორ უნდა მოხდეს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე/სესიაზე განხილვა, მიზანშეწონილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, 2017 წლის ანალოგიურად უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მოხდეს ზემოაღნიშნული პროცედურების განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94[1] მუხლის გათვალისწინებით, კომისიამ მოამზადა და უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“, რომელზეც მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 3 მაისის №41 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია